შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

AR 2019

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

თბილისი

2019

www.rustaveli.org.ge

შინაარსი

- მიზნები
- ზოგადი დებულებები
- სუბიექტები
- ფინანსური მოთხოვნები
- საკონკურსო დოკუმენტაცია
- კონკურსის ადმინისტრირება
- პროექტების შეფასება
- მნიშვნელოვანი თარიღები

საგრანტო კონკურსის მიზნები

- გამოყენებითი და ტექნოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევების შემდგომი განვითარება;
- საერთაშორისო პარტნიორებსა და არასამეცნიერო სექტორთან თანამშრომლობით მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის, მათემატიკის, მედიცინისა და ჯანმრთელობის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებების მიმართულებით საქართველოს ინსტიტუციების გრძელვადიანი, ინოვაციური და ტექნოლოგიური გამოყენებითი კვლევითი პროექტების განხორციელება;
- სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ ტექნოლოგიის ტრანსფერისა და ინოვაციების უზრუნველყოფა;
- ღიად გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გზით გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შერჩევა და დაფინანსება;
- კომერციალიზაციის პერსპექტივის მქონე ინოვაციური და ტექნოლოგიური ტრანსფერის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება;
- ინოვაციური კვლევების გამოვლენა, რომელთა შედეგად მიღებულ მაღალტექნოლოგიურ პროდუქტზე ადგილობრივ და/ან საერთაშორისო ბაზარზე არსებობს მოთხოვნა და რომელიც პასუხობს ახალი ტექნოლოგიების განვითარების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას;

საგრანტო კონკურსის ზოგადი დებულებები (1/2)

EUROSTAT/OECD კლასიფიკატორი:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები
4. აგრარული მეცნიერებები
5. სოციალური მეცნიერებები - მხოლოდ ინტერდისციპლინური პროექტები
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები - მხოლოდ ინტერდისციპლინური პროექტები

ინტერდისციპლინური პროექტები:

- **1/2/3/4 + 5/6**
- **1/2/3/4 ნებისმიერი კომბინაცია**

პროექტების კატეგორიები:

- **I კატეგორია** - ტექნოლოგიის ტრანსფერის ხელშემწყობი საპილოტე კვლევითი გრანტი ცალკეული ორგანიზაციებისათვის
- **II კატეგორია** - ინოვაციური კვლევების განხორციელება და ტექნოლოგიური განვითარების გრანტი კონსორციუმებისათვის
- **III კატეგორია** - კვლევითი კონცეფციის დამტკიცება: ინფრასტრუქტურის, ტრენინგისა და კლასტერების განვითარების გრანტი კონსორციუმებისათვის

საგრანტო კონკურსის ზოგადი დებულებები (2/2)

პროექტი უნდა ითვალისწინებდეს:

- ✓ ახალგაზრდა მკვლევართა ჩართულობას;
- ✓ პროექტის მონაწილე ბიზნეს საქმიანობის გამოცდილების მქონე პერსონალის/ორგანიზაციის მიერ ტრენინგის ჩატარებას სამეწარმეო/ინოვაციური აზროვნების საკითხებზე პროექტის ძირითადი პერსონალისათვის;
- ✓ ინოვაციას, ტექნოლოგიის ტრანსფერსა და მათთან ასოცირებული კვლევის კომპონენტებს: პროტოტიპის, ნიმუშის, პროგრამული უზრუნველყოფის (software) ან ტექნოლოგიის შექმნას; სამრეწველო ნიმუშის/პროტოტიპის სახით ახალი/გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის, მასალების, სამკურნალო საშუალების, მოწყობილობის, კონსტრუქციისა და ა.შ. შექმნას და შესაბამისი ტექნოლოგიის შემუშავებას/სრულყოფას.

<u>პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებებია:</u>

- ✓ ინჟინერია და ტექნოლოგიები
- ✓ კომპიუტერული და საინფორმაციო მეცნიერებები (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებიდან)

სასურველია საერთაშორისო თანამშრომლობა

კონკურსში მონაწილე სუბიექტები

სამივე კატეგორიის პროექტს უნდა ჰყავდეს:

- ✓ წამყვანი ორგანიზაცია*
- ✓ ძირითადი პერსონალი*-ბაკალავრი, მაგისტრანტი, დოქტორანტი, მაგისტრი, დოქტორი (შეიძლება, იყოს უცხოელი)
- ✓ პროექტის ხელმძღვანელი*
- ✓ პროექტის კოორდინატორი*
- ✓ ახალგაზრდა მკვლევარი*-მაგისტრანტი, რეზიდენტი, დოქტორანტი, მაგისტრი/დოქტორი (არაუმეტეს 7 წლისა). ჩართული უნდა იყოს ყველა საანგარიშო პერიოდში

პროექტს შესაძლოა, ჰყავდეს:

- ✓ თანამონაწილე ორგანიზაცია
- ✓ პროექტის თანახელმძღვანელი
- ✓ დამხმარე პერსონალი
- ✓ თანადამფინანსებელი

I კატეგორია:

<u>წამყვანი ორგანიზაცია + ძირითადი პერსონალი</u>

ძირითადი პერსონალის მინიმუმ ერთ წევრს უნდა ჰქონდეს ბიზნეს საქმიანობის გამოცდილება და მჭიდრო კავშირები ბიზნეს სექტორთან

II/III კატეგორია:

<u>კონსორციუმი + ძირითადი პერსონალი</u>

კონსორციუმი:

- წამყვანი ორგანიზაცია + (თანამონაწილე ორგანიზაცია) + მეწარმე იურიდიული პირი
- მეწარმე იურიდიული პირი შეიძლება, იყოს უცხოეთში რეგისტრირებული
- მინიმუმ **2**, მაქსიმუმ **5** ორგანიზაცია

ძირითადი პერსონალის მინიმუმ ერთ წევრს უნდა ჰქონდეს ბიზნეს საქმიანობის გამოცდილება და მჭიდრო კავშირები ბიზნეს სექტორთან

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

საგრანტო კონკურსის ფინანსური მოთხოვნები

ფონდიდან მოთხოვნილი წლიური ბიუჯეტის მაქსიმალური რაოდენობა		
პროექტის კატეგორია	ერთი ორგანიზაციისათვის	კონსორციუმისათვის
I კატეგორია	140 000 ლარი	-
II კატეგორია	140 000 ლარი	420 000 ლარი
III კატეგორია	140 000 ლარი	420 000 ლარი

- პროექტის ხანგრძლივობა - **2, 3, 4 წელი**
- შრომის ანაზღაურება - **არაუმეტეს 50%-სა**
- საანგარიშო პერიოდი - **1 წელი (12 თვე)**
- ზედნადები ხარჯები - **არაუმეტეს 7%-სა**
- **მეწარმე იურიდიული პირი/უცხოური ორგანიზაცია ვერ იქნება გრანტის მიმღები**

წარმოსადგენი დოკუმენტაცია (1/3)

კონკურსის I და II ეტაპზე დოკუმენტაციის წარდგენა ხდება GMUS-ში - http://gmus.rustaveli.org.ge

I ეტაპი - კონცეფციას წარადგენს წამყვანი ორგანიზაცია/კონსორციუმი და ძირითადი პერსონალი ერთობლივად:

- ✓ კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ* - ივსება GMUS-ში
- ✓ პროექტის კონცეფცია* - იტვირთება GMUS - ში PDF ფორმატში
- ✓ ძირითადი პერსონალის CV-ები* - გენერირდება GMUS-დან
- ✓ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები* - იტვირთება GMUS-ში, „მეცნიერის პროფილში“ PDF ფორმატში
- ✓ ბიზნეს საქმიანობის გამოცდილების მქონე ძირითადი პერსონალის ცნობა სამუშაო დაწესებულებიდან * - იტვირთება GMUS-ში, „მეცნიერის პროფილში“ PDF ფორმატში
- ✓ ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები (2019 წელს გაცემული)* - იტვირთება GMUS - ში, „ორგანიზაციის პროფილში“ PDF ფორმატში
- ✓ განცხადება* - გენერირდება GMUS-ში და შემოდის ფონდის კანცელარიაში

წარმოსადგენი დოკუმენტაცია (2/3)

ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები:

- ✓ **სსიპ-ს შემთხვევაში** - დაფუძნების დოკუმენტი
- ✓ **ა(ა)იპ-ის და შპს-ს (უსდ) შემთხვევაში** - ორგანიზაციის წესდება და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (მინიმუმ 2019 წლის იანვრის მდგომარეობით)
- ✓ **შპს-ს შემთხვევაში** (კონსორციუმის წევრი მეწარმე იურიდიული პირი) - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (2019 წლით დათარიღებული)
- ✓ **საზღვარგარეთ რეგისტრირებული ან საერთაშორისო ორგანიზაციის შემთხვევაში** დოკუმენტების წარმოდგენა არ არის სავალდებულო

წარმოსადგენი დოკუმენტაცია (3/3)

II ეტაპი - სრული პროექტის ატვირთვა GMUS-ში

- ✓ საპროექტო წინადადება* - იტვირთება GMUS - ში PDF ფორმატში
- ✓ პროექტის აბსტრაქტი * - იტვირთება GMUS - ში PDF ფორმატში
- ✓ გეგმა-გრაფიკი* - ივსება GMUS-ში
- ✓ ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება* - ივსება GMUS-ში
- ✓ ცნობა თანადაფინანსების შესახებ - იტვირთება GMUS - ში PDF ფორმატში
- ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ თანხმობის წერილი - იტვირთება GMUS - ში PDF ფორმატში

III ეტაპი - პროექტის პრეზენტაცია კომისიის წინაშე

- ➢ ყველა დოკუმენტი, რომელიც გაცემულია უცხოურ ენაზე უნდა იყოს ნათარგმნი ქართულად და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ
- ➢ უცხოელი პერსონალის CV-ის ქართული თარგმანი დამოწმებას არ საჭიროებს

კონკურსის ადმინისტრირება

- ❑ ფონდი ჩაატარებს ტექნიკურ ექსპერტიზას კონკურსის I და II ეტაპზე, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად;

- ❑ ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე მოხსნას პროექტი თუ :

- დოკუმენტაცია არ შეესაბამება ნორმატიული აქტებით (მთავრობის დადგენილება, ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანება) განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით .

პროექტების შეფასება

1. I ეტაპზე პროექტის კონცეფცია ფასდება კომისიის მიერ:

- კონცეფციამ ორივე კრიტერიუმში უნდა მიიღოს „კი“ შეფასება, რათა გადავიდეს II ეტაპზე

2. II ეტაპზე გადასული კონცეფციების საფუძველზე შექმნილ პროექტებს აფასებენ დამოუკიდებელი ექსპერტები:

- III ეტაპზე გადასასვლელად პროექტმა უნდა მიიღოს მინიმუმ 15/27 ქულა
- პირველ კრიტერიუმში აუცილებელია A (7-9) ან B (4-6) შეფასების მიღება

3. III ეტაპზე გადასული პროექტები ფასდება იმავე კომისიის მიერ, რომელიც მუშაობდა I ეტაპის შეფასებაზე

- დასაფინანსებლად განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელიც არც ერთ კრიტერიუმში არ მიიღებს C (1-3) შეფასებას
- გამსვლელი ქულაა 8/18
- საბოლოო შეფასება მიიღება II და III ეტაპებზე მიღებული შეფასებების ჯამით

კრიტერიუმი	თვისებრივი შეფასება (კი/არა)
მეცნიერება და ინოვაცია (მ.შ. იდეის პატენტუნარიანობა)	
ტექნოლოგიის ტრანსფერი და კომერციალიზაციის პოტენციალი	

შეფასების 3 კრიტერიუმი
1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი
2. პროექტის შემსრულებელი სამეციერო ჯგუფი
3. პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა

შეფასების 2 კრიტერიუმი
1. ტექნოლოგიის ტრანსფერი და კომერციალიაციის პოტენციალი
2. გამოყენებადობა და მნიშვნელობა საქართველოსთვის

კრიტერიუმის ქულა	ჯამური ქულა	A, B, C კატეგორია
7-9	21-27	A
4-6	10-20	B
1-3	1-9	C

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

მნიშვნელოვანი თარიღები

- 15, 23 აპრილი – ჯგუფური კონსულტაციები
- 8 აპრილიდან 13 მაისის 16:00 სთ-მდე – კონცეფციის ელექტრონული რეგისტრაცია GMUS-ში
- 14 მაისის 16:00 სთ-მდე – კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენის ბოლო ვადა
- 18, 25 ივნისი – ჯგუფური კონსულტაციები
- 2 ივლისის 16:00 სთ-მდე – მეორე ეტაპზე გადასული სრული პროექტების რეგისტრაცია GMUS-ში
- ივლისი-სექტემბერი - მეორე ეტაპზე პირობების დაცვით წარმოდგენილი სრული პროექტების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის მიერ
- სექტემბერი-ოქტომბერი – მეორე ეტაპის შედეგების გამოქვეყნება
- სექტემბერი-ოქტომბერი – პროექტების პრეზენტაცია კომისიის წინაშე
- სექტემბერი-ოქტომბერი – კონკურსის შედეგების გამოქვეყნება

შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

AR 2019

გმადლობთ ყურადღებისთვის!

ar@rustaveli.org.ge